მოგესალმებით და გაცნობებთ, რომ CENN, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, აცხადებს სასკოლო კონკურსს „აღმოაჩინე საქართველო“ ნიკო კეცხოველის 2018 წლის პრემიის მოსაპოვებლად.

პარალელურად, ცხადდება კონკურსი „ფოტო სინთეზი 2018“.

წინამდებარე საკონკურსო ინსტრუქცია ეგზავნება ყველა სკოლას ელექტრონულად. გთხოვთ, ტექსტი ხელმისაწვდომი გახადოთ ნებისმიერი დაინტერესებული მოსწავლისა და პედაგოგისათვის. ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესებისათვის, დამატებით დაიბეჭდება სპეციალური პლაკატები და მოგეწოდებათ რესურსცენტრების საშუალებით – სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას გამოსაკვრელად.

იმის გათვალისწინებით, რომ საკონკურსო წელი გრძელდება 2017 წლის აპრილიდან 2018 წლის მარტამდე, სასურველია, პლაკატები გამოკრული იყოს როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი სასწავლო წლის პერიოდში.

კონკურსის ფარგლებში დაგეგმილია სკოლებთან დამატებითი კომუნიკაცია და თანამშრომლობა მთელი წლის განმავლობაში.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის და გისურვებთ წარმატებებს.

პატივისცემით,

საორგანიზაციო ჯგუფი

ინიციატივა ხორციელდება პროექტის – *ტყის მდგრადი მართვა საქართველოში* ფარგლებში, რომლის ფინანსურ მხარადჭერას ახორციელებს ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (ADC).

CENN Caucasus Environmental NGO Network

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

კონკურსის მიზნები

გარემოსდაცვითი განათლებისა და სამოქალაქო ჩართულობის მხარდაჭერა სკოლებში

- მოსწავლეების, პედაგოგებისა და თემების გაძლიერება გარემოსდაცვითი საკითხების კვლევისა და ადვოკატირების პროცესში
- გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი მონიტორინგის, წერის, ვიზუალიზაციის, კომუნიკაციის და პროექტების მართვის უნარების განვითარება სკოლაში და ადგილობრივ საზოგადოებაში
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (მობილური აპლიკაციები, სანავიგაციო ინსტრუმენტები, GIS სისტემები, Google Earth და open Street map, ინტერაქტიული რუკები)
- გარემოსდაცვითი პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა

ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობების კვლევა ადგილობრივ დონეზე, იდეების ინკუბაცია სათემო და კერძო ინიციატივებისათვის

- ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა არსებული ეკოტურისტული მარშრუტების მართვაში; ტურისტული სერვისების განვითარება
- ახალი ტურისტული მარშრუტების იდენტიფიცირება და მარკირება
- ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გაძლიერება

დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის განხორციელება 5 მიმართულებით

- ტყე
- ბუნებრივი კატასტროფები
- ნარჩენების მართვა
- მინერალური რესურსები
- ქალაქი/თემი/თვითმმართველობა

CENN Caucasus Environmental NGO Network
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შექმნათ სკოლის გუნდი და გაიაროთ რეგისტრაცია პორტალზე - forestry.ge, კონკურსების განყოფილებაში.

როგორ დავაგროვოთ ქულები

ქულის მოსაპოვებლად კონკურსში დარეგისტრირებულმა გუნდმა აქტივობის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოს კონკურსის ადმინისტრაციას.

ინფორმაციის მიწოდებისა და გაცვლის უზრუნველსაყოფად შექმნილია მარტივი სისტემა ვებგვერდზე forestry.ge, კონკურსების განყოფილებაში.

რეგისტრირებული სკოლა საკონკურსო მასალას ავტორიზაციის გავლის შემდეგ ამატებს

საშუალება გაქვთ, შეარჩიოთ აქტივობის შესაბამისი კატეგორია და ატვირთოთ:

- ტექსტი
- ფოტო
- ვიდეოს ბმული

თქვენ მიერ ატვირთული ინფორმაცია საიტზე განთავსდება მაქსიმუმ 48 საათში

ყოველთვის გადაამოწმეთ და დარწმუნდით, რომ თქვენი ინფორმაცია ნამდვილად გამოქვეყნებულია პორტალზე, შესაბამის განყოფილებაში. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კონკურსის ადმინისტრატორმა შესაბამისი ქულით შეგაფასათ.

პორტალი შესაძლებლობას გაძლევთ, გაეცნოთ სხვა სკოლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს.

1 10 ქულა	მოამზადე საავტორო სტატია (მინიმუმ 100 სიტყვა) ადგილობრივ გარემოსდაცვით პრობლემაზე
2 20 ქულა	გამოგვიგზავნე გარემოსდაცვითი პრობლემის ამსახველი ფოტო, მცირე ტექსტური აღწერით, GreenWatch-ის ან საზოგადოებრივი მონიტორინგის რუკის მეშვეობით, რომელიც ინტეგრირებულია პორტალზე forestry.ge
3 30 ქულა	საკუთარი აქტივობა გააშუქე მედიაში (CENN-ის დახმარებით)
4 50 ქულა	საკუთარი აქტივობა გააშუქე მედიაში (დამოუკიდებლად)
5 50 ქულა	მიიპყარი სახელმწიფო უწყების ყურადღება
6 100 ქულა	დაგეგმე და განახორციელე გარემოსდაცვითი აქტივობა

CENN Caucasus Environmental NGO Network

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

7 100 ქულა	შექმენი ახალი გუნდი სხვა სკოლაში და მისი მხარდაჭერის მიზნით განახორციელე ღონისძიება (აღნიშნული სკოლის მიერ წლის განმავლობაში დაგროვილი ქულების 5% დაემატება თქვენი ქულების რაოდენობას)
8 100 ქულა	დაგეგმე და განახორციელე აქტივობა ორი ან რამდენიმე სკოლის მონაწილეობით (ქულა ეწერება ერთობლივ ღონისძიებაში ჩართულ თითოეულ სკოლას ცალ–ცალკე)
9 100 ქულა	შეავსე აპლიკაცია CENN-ის მიერ შემუშავებული „თავისუფალი გაკვეთილების“ მოდულის დასანერგად
10 500 ქულა	გაიმარჯვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონკურსში და დანერგე CENN-ის მიერ შემუშავებული „თავისუფალი გაკვეთილი“ სკოლაში
11 200 ქულა	გაიარე ნიკო კეცხოველის წიგნებში (http://forestry.cenn.org/index.php/el-tsignebi) აღწერილი რომელიმე მარშრუტი და გამოაქვეყნე გარემოსდაცვითი პრობლემატიკის ამსახველი ფოტო, ვიდეო ან წერილობითი მასალა
12 200 ქულა	გაიარე forestry.ge-ს რუკაზე რეკომენდირებული ნებისმიერი ტურისტული მარშრუტი და ინფორმაცია გამოაქვეყნე საიტზე

13 200 ქულა	შეიმუშავე ახალი ტურისტული მარშრუტის საპროექტო წინადადება
14 300 ქულა	შეიმუშავე ტურისტული მარშრუტის საპროექტო წინადადება ნიკო კეცხოველის წიგნების მიხედვით
15 500 ქულა	მოამზადე საპროექტო წინადადება სათემო ეკოტურისტული სერვისების განვითარებისათვის
16 1000 ქულა	მოიპოვე დაფინანსება და განახორციელე სათემო ეკოტურისტული პროექტი
17 100 ქულა	ნებისმიერ ზემოთჩამოთვლილ ღონისძიებაში ჩართე „მეტყევე პედაგოგი“ (სატყეო დარგის სპეციალისტი, მოქმედი მეტყევე, ტყის მცველი, რეინჯერი, სატყეო სამსახურის წარმომადგენელი)

ქულების მინიჭებისათვის აუცილებელია, თითოეული აქტივობის შესახებ ინფორმაცია ატვირთოთ ვებ-გვერდზე forestry.ge, შესაბამის განყოფილებაში. გამონაკლისია მხოლოდ მე–2, 20–ქულიანი კატეგორია, რომელიც ინფორმაციის მოწოდებისათვის მობილური აპლიკაციისა და ინტერაქტიული რუკის გამოყენებას გულისხმობს

ქულების დაგროვება არ მოითხოვს ყველა ჩამოთვლილი კატეგორიის შესრულებას. სკოლას შესაძლებლობა აქვს, საკუთარი შეხედულებებით შეარჩიოს მისთვის სასურველი კატეგორია და დააგროვოს ქულები.

ქულების დაგროვების სისტემა იძლევა ერთროულად რამდენიმე პუნქტის გამოყენების შესაძლებლობას; მაგალითად, თუ სკოლა განახორციელებს დარგვის აქციას და ეს გაშუქდება როგორც ადგილობრივი მედიის, ასევე სატყეო პორტალის საშუალებით, სკოლას დაეწერება ყველა აღნიშნული კომპონენტისათვის გათვალისწინებული ქულათა ჯამი.

ქულა ენიჭება სკოლის გუნდს და არა – მის რომელიმე წევრს.

საუკეთესო გუნდები გადადიან ნახევარფინალში.

ნახევარფინალური ტურის გამარჯვებულები, რეგიონული ქვოტების მიხედვით, გადადიან ფინალში. ფინალისტების ქვოტირება მოხდება მონაწილე სკოლების რაოდენობის მიხედვით რეგიონში.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან ჟიურის მიერ, რომელსაც მიეწოდება დეტალური ინფორმაცია სკოლების მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

კონკურსის პოპულარიზაციისა და მოსწავლეთა კომპეტენციის გაზრდის მიზნით, კონკურსი აქტიურად ითანამშრომლებს სკოლის ადმინისტრაციებთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან.

კალენდარი

- ✓ ქულების დაგროვების პროცესი – 10 აპრილი, 2017 – 10 თებერვალი, 2018
- ✓ რეგიონული ნახევარფინალები – თებერვალი–მარტი, 2018
- ✓ ფინალი – 2018 წლის 21 მარტი, ტყეების დაცვის საერთაშორისო დღე

გაქვთ კითხვები? დაუკავშირდით პროექტის რეგიონულ კოორდინატორებს:

მაია	კოდუა	სამეგრელო-ზემო სვანეთი	maia.kodua@gmail.com	599 15 40 96
ირაკლი	მიქელაძე	აჭარა, გურია	ika1978mikeladze@gmail.com	595 70 20 06
ნანა	სოხაძე	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	nana.soxadze@yahoo.com	551 58 62 07
თამარ	კაპანაძე	სამცხე-ჯავახეთი	tamuna.kapanadze78@gmail.com	555 88 38 83
გიორგი	იორამაშვილი	მცხეთა-მთიანეთი	ioramgio@gmail.com	595 13 13 46
მაია	კეზევაძე	იმერეთი	kezevadzemaia@gmail.com	595 50 16 51
გიორგი	დემურაშვილი	ქვემო ქართლი	kkpic.bolnisi@gmail.com	599 21 92 11
კახა	სუხიტაშვილი	კახეთი	kakhiberius@gmail.com	595 40 86 08
ლევან	სებისკვერაძე	თბილისი, შიდა ქართლი	levan.sebiskveradze@cenn.org	599 61 55 69